საქართველო

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 52 დამატების № 10

კვირა, 6 მარტი, 1916 წ.

მისნებთან: მოუვა ოჯახის ბურჯი თუ არა?!

***

გამოფხიზლდა ერი ჩემი,
შეიშმუშნა, გაიღვიძა;
დავაჟკაცდა, დაჭაბუკდა,
მოიშორა ლალა-ძიძა!

ჩამოდექით, გზა მიეცით,
ნუ აბრკოლებთ სულით ძლიერს!
ვეღარავინ ვერ შეუცვლის
დღეის იქით ფერს და იერს!

ია ქართველიშვილი.

***

რლვევის ხმა ისმის... სად ვინ კვდება... სად ვისი შვილი...
სად ერის გმირი მტერს მიჰკაფავს ხმალ ამოწვდილი...
სად უკანასკნელ თვალსა ჰხუჭავს ტყვია-სობილი,
ვაჟკაცი—გმირი ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი...
სად-ვინ ვის სტირის...—ლომ-ვაჟს ჰგლოვობს ქალი-დობილი,—
ან სატრფო—თვის ტოლს—მის საფლავზე ძირს დამხობილი...
სად სამშობლოს მკერდს მოწყვეტილებს... განწირულს გმირებს,—
ქარი ველური თავს დასტირის და დაჰქვითინებს!..
... იქ დედა შვილის სისხლით ნაწერს კითხულობს წერილს
და თვალთ იცრემლავს—შავის ფიქრის ბინდით შეფერილს...

ილ. მოსაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებულნი.

სურათი!..

მშვენიერი დილა იყო. მზე მხიარულად აღმობრწყინდა და თავისი მოელვარე სხივები მთელ-მიდამოს მოჰფინა. გაათბო დედა-მიწა,—მთა, ხეტყე და ყოველი სულდგმული. პატარა ნისლსაც გაუყარა მზემ თავისი მწყობრი სხივები, რომელიც მაღალ მთის მწვერვალს ეხვეოდა, ეალერსებოდა, რადგან ეს იყო მისი ბუდე, მისი საზვერავი ბინა საიდანაც თვალს ადევნებდა: თუ როგორ აძოებდნენ მეცხვარეები თავის ცხვარს ლამაზად ამწვანებულს ფერდობზედ. კაშკაშა—ლაჟვარდოვან ცაზედ მედიდურად დაჰქროლავდა ფრინველთა მეფე არწივი. იგი გარს ევლებოდა მთის მწვერვალზე მოალერსე პატარა ნისლს. დრო გამოშვებით არწივი ხან ნისლში შეცურდებოდა, შთაინთქებოდა და ხან ისევ გამოცურდებოდა. ფრთა-ფრთას შემოჰკრავდა, გასრიალდებოდა ცის სივრცეში და ტრიალით აემართებოდა მაღლა ზეცისაკენ. მზის ამოსვლისთანავე ხარ-ლაღი წამოდგა თავის საწოლიდან, მიანდო თავისი თავი მზის სხივებს და ასე ამაყად, ასე მედიდურად კისერ მოღერებული ხარბადა სუნთქავდა მთის ლაღ ჰაერს.

ამ დროს გაისმა ტკბილი, გულ-წარმტაცი სალამურის ნარნარი ხმა. ორი მეცხვარე ცხვარს აძოვებდა, აი იქითა სერზედ, იმათ დაუკრეს; ერთმა მათგანმა უთხრა მეორეს: აბა ძმობილო! გახედე აი ამ ქალს ღელეზე რომ ცხენდაცხენ მოდის, მე სალამურს დაუკრავ და ის უთუოდ ჩამოხტება ცხენიდანაო.

— თუ შენ ამას შესძლებ ჩემ, საუკეთესო სალამურს გაჩუქებო. დასთანხმდა პირველი მეცხვარე. გაისმა სალამურის მწყობრი ნარნარი ხმა.

ღმერთო! რა კარგი იყო ის ხმა!...

გაისმა სევდიანი, მაგრამ სიცოცხლით სავსე ნაზი ხმა სალამურისა, ჯერედ ნელი, ხოლო რაც უფრო დრო გადიოდა, იგი უფრო ძლიერდებოდა, უფრო ცხოველდებოდა. მის ხმაზედ ბუნება სმენად გარდაიქცა.

მოგზაურ ქალსაც მოჰხვდა ეს მშვენიერი სალამურის ხმა, რომელიც ჰხიბლავდა მის გულის ყურს, იმონავებდა მის გონებას, ათრობდა მის გრძნობას.

სალამურის ნაზი ხმა კი უფრო მეტის სიმძლავრით გაისმოდა სმენად გარდაქცეულს არე-მარეში.

მისი სევდიანი ხმა თავს დასტრიალებდა მთის ასულს და ყურში რაკრაკებდა ნაზად, თითქოს ეუბნებოდა „დაო დაძმობასა! სანაძლეო გვაქვს დაო, ცოტა ხანი ჩამოდი ცხენიდან და მერე ისევ გაუდექ შენს გზასა“-ო.

მოგზაურ ქალს უნდოდა ჩამოსვლა ცხენიდან, მაგრამ რცხვენოდა „დამცინებენო“.

— აკი ჩამოვახდენ ცხენიდანაო?!.. გაისმა დამცინავი ხმა მეცხვარესი. პირველ მეცხვარეს ცრემლი მოერია და აღგზნებულმა უფრო დიდის იმედით ჩაჰბერა თავის სალამურს უფრო ძლიერად, უფრო ნაღვლიანად. ცხენი შესდგა. ქალი უჯავრდებოდა, მაგრამ არ იძვროდა. სალამურის ხმით დამთვრალი ქალი და გრძნობა მორეული ცხენიდან ჩამოხტა. იგი ჩამოჯდა კლდეზედ და ყურს უგდებდა, გული უძგერდა.

შესწყდა სალამურის ხმა. ხარ-ლაღი რომელიც აქამდისინ სალამურის ტკბილ ხმას დაემონა, ეხლა დაბურულ ფიჭკნარში გადაეშვა. ფრინველთა მეფე არწივი დაბლა დაშვებულიყო და რომ ველად სალამურის ხმა ვეღარა ჰპოვა, ფრთა-ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა შორს, აღმოსავლეთისაკენ.

მთის პატარა ნისლი, რომელიც შეიკუმშა და მთის უდიდეს მწვერვალს მიეკრა სმენად გარდაქცეული, ეხლა, როდესაც სალამურის ხმა შესწყდა, დანაღვლიანებული დაბლა დაეშვა, საიდანაც სალამურის ხმა მოისმოდა, მაგრამ ამაოდ; მან ვეღარა ჰპოვა იქ ის ლამაზი, ის მშვენიერი ხმა სალამურისა; სასო მიხდილი ნისლი გაიბა ფერდობზედ და დასევდიანებული კლდეზედ ჩამომჯდარ ქალს შემოეხვია, რომ მისგან მაინც გაეგო საიდან იყო ეს გულ-წარმტაცი ხმა სალამურისა.

მოჯადოებული ქალი როდის-როდის გამოერკვა. მწყემსმა გაიმარჯვა და ეს გამარჯვება ქალს გარდაექცა საბედისწეროდ: მის დაკოდილს გულს დაეკარგა მოსვენება. ცხადათ თუ სიზმრად თვალწინ ედგა გზად ნახული მწყემსი მესალამურე.

რ. მურთაზაშვილი.

გრძოლის ველზე

ჩუ!.. ვინ არის საცოდავად რომ ოხრავს, და თავის ტანჯვას ბრძოლის ველს უზიარებს? ვინ არის ხელ-ფეხ მოგლეჯილი შველას რომ თხოულობს? განა იმის შველა შესაძლოა?.. ვინ არის გულსაკლავად რომ ფართხალობს და სულს ლევს?.. ვინ არის სიმწრით მიწას რომ სთხრის, ჭრილობიდან სისხლს ანთხევს და თავის სულს უკანასკნელად ებრძვის?..

— „მშვიდობით ჩემო სამშობლო, ჩემო დედა მშვიდობით“ და უკანასკნელად დაიკლაკნა, გაიჭიმა და სული მსწრაფლად განუტევა.

ის ქართველი მებრძოლია, რომელსაც „სამშობლო დედის ძუძუი არ გაუცვლია სხვაზედა“ და ბრძოლის ველზედაც უკანასკნელ სისხლის მორევში მას იგონებს, იმით ნუგეშობს, მას აგონდება თავისი დედა, დედა თვალცრემლიანი, რომელიც იქ... იქ თავის სამშობლოში შვილის დაბრუნებას ელის და ცხარე ცრემლებს აფრქვევს, იტანჯვის მის მოლოდინში... იგონებს სადაური სად კვდება. ეშლება თვალწინ თვისი ჭრილობანი, სისხლის მორევი, თავის მოხუც დედის სურათი, იგონებს თავის სამშობლო მხარეს, „სადაც შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი, სად მამა-პაპა ეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი“ და სისხლთა მორევში სულს ლევს. ვერ დაიტირა მშობელმა! ვერც დაუხუჭა თვალები!

შალვა რუფოთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იერიში.

თ დი ირაკლი ივანეს ძე ხიმშიაშვილი.
2‘ თებერვალს ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

სოსო ნაცვლიშვილი
ბრძოლის ველზე გარდაიცვალა.

სოფ. კისის-ხევის მღვდელი
† თომა ოქროპირიძე
გარდაიცვალა 29 თებერვალს 1916 წ.
სოფლის ბიბლიოთეკას და სკოლას ხელმძღვანელობდა და თვითვე მასწავლებლობდა.

მძუძმსი დედოფალი

თსმალურიდან გადმოკეთებული ზღაპარი*)

— კაცო, რას ამბობ! აქ ეშმაკი რა შუაშია! მე ამისათვის ფული მისესხება, ახლა ვსთხოვ დაბრუნებასა, ის-კი მაგინებს და მლანძღავსო, სთქვა ერთმა მოჩხუბართაგანმა და გაშორდა.

მივიდა მასთან ეშმაკი, ადამიანის სახით და უთხრა:

— ძმობილო! შენი პასუხი ძალიან მომეწონა. მართალი უთხარ, შენ მოპირდაპირეს, იქ ეშმაკი რა შუაში იყო. რადგან შენ ეშმაკის სასარგებლოდ სიტყვა სთქვი, მსურს, სამაგიერო გადაგიხადოო.

— განა ეშმაკი ხარო? ჰკითხა გაოცებით კაცმა.

— დიახო,—მიუგო მაცდურმა.

— შენ იცი, თუ რომ სიკეთეს მიზამ, მადლობელი ვიქნებიო, დათანხმდა ეს კაცი.

— მაშ, კარგი, მე ახლა ერთ ლამაზ ჯორად გადვიქცევი, აღვირს ხელი მოჰკიდე, წამიყვანე და გამყიდე. რასაც ფულს აიღებ, შენი იყოს, ეს იქნება ჩემი სიკეთეო, უთხრა ეშმაკმა. ეშმაკი ჯორად იქცა. კაცმაც აღვირს ხელი მოჰკიდა, ბაზარში წაიყვანა და ერთ მდიდარ კაცს ოც თუმნად მიჰყიდა. ფულები ჩაჯიბა და თავის გზას გაუდგა. ეს ჯორი მყიდველს ისე შეუყვარდა, რომ სულ უნდოდა. იმით ევლო. რამდენსამე დღის შემდეგ ეს მდიდარი კაცი შეჯდა ჯორზე და სადღაც შორს წავიდა. გზაზე ნახა ერთი წყარო, რომლის ლულაში წყალი გადმოდიოდა და ავსებდა აუზს. მხედარმა მოისურვა ჯორისათვის წყლის დალევინება. ჯორმა დასუნა დაგუბებულ წყალს, თითქოს იუკადრისა ჩ ლულიდან გადმონადენ წყალს დაუწყო დალევა. საკვირველება რამ მოხდა! ცხოველმა დაიწყო თანდათან დაწვრილება, ბოლოს თოკის სიმსხოდ იქცა და ლულაში შეძვრა. განცვიფრებული კაცი მოჰყვა საშინელ დრიალს:

- არიქა, მიშველეთ! არიქა მიშველეთ! ჯორი ლულაში შეძვრაო!

მიცვივდა ხალხი, დაიწყეს ლულაში ყურება, მაგრამ ვერას ხედავდნენ. პატრონი კი ხედავდა და გაიძახოდა: „უყურეთ, უყურეთ, როგორ ფრუტუნებსო?

ხალხში მითქმა-მოთქმა დაიწყო:

— ეს კაცი ნამდვილად შეშლილაო. განა შესაძლებელია, ვეებერთელა ჯორი ერთი ბეწვა ლულაში შეეტიოს? წაიყვანეთ ეგ გადარეული საგიჟეთშიო.

მდიდარი-კი კვლავ გაიძახოლა: „ჩემი ჯორი ლულაში არის“. სტაცეს ხელი საბრალოს და თავი უკრეს საგიჟეთში, სადაც არ აკლებდნენ ცემატყეპას, ის კი კვლავ ნაცნობებს და უცნობებს სულ იმას ეუბნებოდა:

*) იხ. „საქ.“ დამატება № 9.



ციხის ზარბაზნები.

— ჩემი ჯორი ლულაში შეძვრა.

გავიდა კარგა ხანი. ერთ დღეს ამ გიჟთან მიეიდა სანახავად ერთი იმისი ახლო ნაცნობი დაარიგა და უთხრა:

— ხომ ხედავ, ძმაო! არვის სჯერა შენი სიტყვები. მოდი და დღეის იქით ყველას უთხარ: „სიცრუეა, ჯორი ლულაში როგორ შეძვრებათქო“. თუ ასე იტყვი, თავს იხსნი საგიჟეთიდან, თუ არა და მერწმუნე, სული აქ ამოგხვდებაო. გიჟმა დაუჯერა და ყველას იმას ეუბნებოდა: „როგორ შეიძლება ჯორი ლულაში შეძვრესო“. ნათესავები და ნაცნობები დარწმუნდნენ, გიჟი ჭკუაზე მოვიდაო და საჩქაროდ გაანთავისუფლებინეს საგიჟეთიდან.

რა დაასრულა ხელმწიფემ თავის მოთხრობა, მიმართა პირდაპირ მსმენელთ:

— იმ საბრალო მდიდარმა გადათქვა თავის სიტყვები, რადგანაც ეშინოდა, საგიჟეთში არ დაელია სიცოცხლე. თქვენ კი ნურაფრისა გეშინიათ. ხოლო სიმართლე კი უნდა მითხრათ; თუ არა და იოდეთ, არ გაპატიებთო, —სთქვა მეფემ მუქარით.

ამ სიტყვებმა თექნამა და ფარისეველი, რადგან არ იცოდნენ, ვინ იყო მათი მოსაუბრე. და ან რა უფლებით ემუქრებოდა მათ. ისინი სმენად გადაიქცნენ და ელოდნენ, თუ რა უნდა ეკითხა მათთვის.

შემდეგ მეფემ ჰკითხა თექნამსა.

— შენ ოდესმე გყოლია შვილი?

თექნამმა ჩაფიქრდა, არ იცოდა რა პასუხი მიეცა. ტყუილის თქმა ვერ მოეხერხებინა, მართლისა-კი რცხვენოდა.

ამ დროს წამოდგა ზეზე მწყემსი ქალი, რომელიც აქამდის ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა და მოახსენა მეფეს:

— ბატონო, თუ წვერს მომცემთ, ჯერ მე გიამბობთ ისეთ მოთხრობას, რაიც ყველა აქ თქმულ ზღაპრებზე უკეთესი და ნამდვილი ამბავი იქნება. თქვენც სრულიად კმაყოფილი დარჩებითო.

— მაშ კარგი, სთქვიო!—უბრძანა მეფემ.

ალ. იაკ. ახალციხელი.

(დასასრული იქნება)

ი. ნიკოლაძე:

ჩემის წინადადებით ყოველმა მხატვარმა უნდა ატაროს გულზე ნიშანი.

— თითქოს ის ოფიცერი გეჯავრებოდა და ამბობდი, ცოლად არ წავყვებიო!

— მინდა მალე დავქვრივდე და „პენსია“ მივიღო, ჩემო ძვირფასო!



ი. გე—ვა—ლი.

თვისის ფარ-ხმლით.

— ტყუილად მოსულხართ, ტყუილად! თბილისში შაქარი და ფქვილი სრულებით არ იშოვება!

(თავისთვის) ჯერ ფასმა ავწიოთ, მერე მე ვიცი!

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

რედაქტორ გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.